



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### მთისძირი

მთისძირი (1944-მდე - ხაშალხუტი), სოფელი კახეთის რეგიონის ყვარლის მუნიციპალიტეტში. მდებარეობს ალაზნის ვაკეზე, მდ. არეშის (კაბალის მარჯვ. შენაკადი) ნაპირზე, ზ. დ. 345 მ. სათავო სოფელი. ყვარლიდან 26 კმ. 723 მცხ. (2014). მ-ში არის რამდენიმე არქიტ. ძეგლი: ვარდისგორად წოდებულ ადგილზე ადრინდელი შუა საუკ. დათარიღებული დარბაზული ეკლესია, მდ. არეშის ნაპირზე კი - სამეკლესიანი ბაზილიკა (ადრინდ. შუასაუკუნეები).

---